05/07/2019

ვლადიმერ პუტინი რომის პაპთან შეხვედრაზე, წინა ორი შემთხვევის მსგავსად, დაგვიანებით მივიდა

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი რომის პაპთან შეხვედრაზე ერთი საათის დაგვიანებით მივიდა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც რუსთის პრეზიდენტი პაპ ფრანცისკესთან შეხვედრაზე დაგვიანებით მივიდა. 2013 წელს მან რომის პაპთან შეხვედრაზე 50 წუთი დააგვიანა, 2015 წელს კი, რომის პაპს ლოდინი საათზე მეტ ხანს მოუწია.

„დიდი მადლობა იმ დროისთვის, რომელიც მე დამითმეთ“, – ასე მიმართა რომის პაპს პუტინმა. მათ დახურულ კარს მიღმა 55 წუთი ისაუბრეს.

გავრცელებული ინფორმაციით, რომის პაპმა და ვლადიმერ პუტინმა ისაუბრეს უკრაინაზე, სირიაში არსებულ მდგომარეობასა და ვენესუელაზე.

რუსეთის პრეზიდენტი რომის პაპს ვატიკანში შეხვდა.

1tv.ge